თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ. რუსთავი

13 ივნისი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) გიორგი ტაბატაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელი;
ბ) გიორგი ბასილაია - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე მეტონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;
დ) გიორგი არჩვაძე - საკონკურსი კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;
ე) ხათუნა მიშველაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსი;
ვ) ლელა მაისურაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა მართვისა და პრივატიზების სამსახურის უფროსი;
ზ) დავით ჯანიაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადმინისტრაციის უფროსი,
თ) მარინე დუდაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლებით)

დღის წესრიგი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ ქალაქ რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადების განხილვა და დამტკიცება.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტები, რის შემდეგადაც აღნიშნეს, რომ ყველაფერი შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება და თანდართული დოკუმენტები წინამდებარე ოქმზე დართული ფორმით და რედაქციით.
2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 25 ივნისს 15:00 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2013 წლის 24 ივნისის 09:00 საათიდან 2013 წლის 25 ივნისის 15:00 საათამდე პერიოდი, შემდეგ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20.

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

კომისიისწევრები გიორგი ბასილაია

კონსტანტინე მეტონიძე

გიორგი არჩვაძე

ხათუნა მიშველაძე

ლელა მაისურაძე

დავით ჯანიაშვილი

მარინე დულაშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი

25 ივნისი 2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ 2013 წლის 14 ივნისს გამოცხადებული №825 კონკურსის საშუალებით არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

საკონკურსო კომისიის წევრი გიორგი ბასილაია

საკონკურსო კომისიის წევრი კონსტანტინე მეტონიძე

საკონკურსო კომისიის წევრი ლელა მაისურაძე

საკონკურსო კომისიის წევრი ხათუნა მიშველაძე

საკონკურსო კომისიის წევრი ეკა პაპუაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი (კომისიის მდივანი ხმის უფლებით) მარინე დუღაშვილი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

ქ. რუსთავი 25 ივნისი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) გიორგი ტაბატაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებელი;
ბ) გიორგი ბასილაია - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
გ) კონსტანტინე მეტონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი:
დ) ხათუნა მიშველაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსი;
ე) ლელა მაისურაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა მართვისა და პრივატიზების სამსახურის უფროსი;
ვ) ეკა პაპუაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ზ) მარინე დუღაშვილი – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი (ხმის უფლებით)

დღის წესრიგი:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ ქალაქ რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციისა და ესკიზის გამოვლენისა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული №825 კონკურსის შედეგის განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა, გიორგი ბასილაიამ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2013 წლის 24 ივნისს და მთავრდებოდა 2013 წლის 25 ივნისისს 15:00 საათზე. ამ დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა: შპს ,,არქმშენი"-მ, საკონკურსო წინადადება ფასით 5 000 ლარი.

კომისიამ განიხილა შპს ,,არქმშენი"-ს, მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, რის შემდგომაც საკონკურსო კომისიამ განახორციელა აღნიშნული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება. (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

კომისიამ დაადგინა:

1. შპს ,,არქმშენი"–ს საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

2.თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ გამოცხადებულ №825 კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,არქმშენი".

3.საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება დაიდოს შპს ,,არქმშენი"–სთან

4. შპს ,,არქმშენი"-ს ეცნობოს და განესაზღვროს 10 სამუშაო დღე ხელშეკრულების დასადებად.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ტაბატაძე

კომისიისწევრები გიორგი ბასილაია

კონსტანტინე მეტონიძე

ხათუნა მიშველაძე

ლელა მაისურაძე

ეკა პაპუაშვილი

მარინე დუღაშვილი

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმშენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 5 | 4.0 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 5 | 1.0 |
| საერთო ჯამი: | | 5 | |

გიორგი ტაბატაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმშენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 7 | 5,6 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 4 | 0,8 |
| საერთო ჯამი: | | 6,4 | |

გიორგი ზასილაია

საკონკურსო კომისიის წევრი:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმშენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4.8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 2 | 0.4 |
| საერთო ჯამი: | | 5.2 | |

კონსტანტინე მეტონიძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქშენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4,8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 4 | 0,8 |
| საერთო ჯამი: | | 5,6 | |

ლელა მაისურაძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 5 | 4 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 2 | 0,4 |
| საერთო ჯამი: | | 4.4 | |

ხათუნა მიშველაძე

საკონკურსო კომისიის წევრი:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 6 | 4.8 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 3 | 0.6 |
| საერთო ჯამი: | | 5.4 | |

ეკა პაპუაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი:

არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს ,,არქმშენი" | |
|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი |
| არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი | 0.8 | 5 | 4 |
| საკონკურსო წინადადების ფასი | 0.2 | 2 | 0,4 |
| საერთო ჯამი: | | 4,4 | |

მარინე დუღაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი:

ხელშეკრულება №06/342
კონკურსის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი 4 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,არქმშენი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თარაშ დაუშვილის სახით, №825 კონკურსის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ქალაქ რუსთავში ლენინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (CPV71300000) (შემდგომში - მომსახურება).

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.2 ანგარიშსწორების ვადა: 3.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

3.3 დაფინანსების წყარო: 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფლებამოსი პირი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს ,,არქმშენი"-ს დირექტორი.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

4.4 მომსახურება ჩაითვლება განხორციელებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს №825 კონკურსის საშუალებით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადების ტექნიკური დავალების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზში. ამასთან, მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მითითებები, არქიტექტურული დეტალები შეთანხმდეს თვითმმართველობასთან.

5.2 მომსახურების გაწევის ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე

5.3 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად და ხარისხობრივად ნაკლული მომსახურება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში;

ბ) წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია. ამასთან, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა მიზანშეწონილია არ აღემატებოდეს 8 მგბ-ს.

## 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური.

7.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით.

7.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან .

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

| „ შემსყიდველი" | „ მიმწოდებელი„ |
|---|---|
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავი<br>მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20<br>საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287<br>სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბ/კ № LBRTGE22<br>ა /ა № GE78LB0125148543037000 | შპს „არქმშენი"<br>მის: ქ.რუსთავი, თოდრიას ქ. №5ა<br>საიდენტიფიკაციო კოდი №416288476<br>სს „ლიბერთი ბანკი"<br>ბ/კ № LBRTGE22<br>ა/ა №GE82LB0113156510557000 |
| თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: | შპს „არქმშენი" - ს დირექტორი: |

კახა ზარანდიაშვილი

თარაშ დაუშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი არჩვაძე

შ.პ.ს. „არქმშენი"
თოდრიას 5ა
რუსთავი, საქართველო
ტელ: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

L.L.C "Archmsheni"
Str. Todria 5a
Rustavi, Georgia
Tel: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

25 ივნისი 2013 წელი

თვითმმართველი ქალაქ რუსთავის

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტაბატაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ შ.პ.ს. „არქმშენის" საკონკურსო წინადადებას #825 (განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი)

პატივისცემით

შ.პ.ს. „არქმშენის" დირექტორი

ARCKMSHENI LTD

თარაშ დაუშვილი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავი
შემოს.№ 11757
25 06 2013
[illegible] 2 (1 ფურცელი)

**ლიბერთი ბანკი**

**საგადახდო დავალება #** 5066611197

თარიღი 2013 წლის 24 ივნისი

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | შპს "არქმენი" |
| გადამხდელის ანგარიში | GE82LB0113156510557000 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი | LBRTGE22 |

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

| | |
|---|---|
| დასახელება: | შპს "არქმენი" |
| საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: | 416288476 |

| | |
|---|---|
| მიმღები დასახელება: | სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: | GE52BR0000010591718543 |
| მიმღების ბანკი/ხაზინა | სს"ბანკი რესპუბლიკა" ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი |
| ბანკის კოდი | REPLGE22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| გადახდის დანიშნულება: | შემსყიდველი თვითმმართველი ქალაქი რუსთავი ს/კ216433287 კონკურსანტი შპს "არქმენი" ს/კ416288476, საკონკურსო განაცხადების ნომერი 825 |

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

---

1

0

GEL

50.00

თანხა სიტყვიერად

ორმოცდაათი ლარი

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

24.06.2013

ბანკში შემოსვლის თარიღი:

24.06.2013

ხელმოწერა:

ბეჭდის ადგილი

შ.პ.ს. „არქმშენი"
თოდრიას 5ა
რუსთავი, საქართველო
ტელ: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

L.L.C "Archmsheni"
Str. Todria 5a
Rustavi, Georgia
Tel: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

საკონკურსო წინადადების ფასი

| # | გასაწევი მომსახურების დასახელება | განზომილება | ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. | ლარი | 5 000 (ხუთი ათასი) ლარი დღგ-ის ჩათვლით |
| 3 | სულ ჯამი | ლარი | 5 000 (ხუთი ათასი) ლარი დღგ-ის ჩათვლით |

შპს „არქმშენის" დირექტორი: თარაშ დაუშვილი

შ.პ.ს. „არქმშენი"
თოდრიას 5ა
რუსთავი, საქართველო
ტელ: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

L.L.C "Archmsheni"
Str. Todria 5a
Rustavi, Georgia
Tel: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

# შ.პ.ს. „არქმშენი"-ს რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| იურიდიული ფორმა და დასახელება | შ.პ.ს. „არქმშენი" |
| ხელმძღვანელის სახელი და გვარი | თარაშ დაუშვილი |
| იურიდიული მისამართი | საქართველო, რუსთავი თოდრიას ქ. 5ა |
| საიდენთიფიკაციო კოდი | 416288476 |
| ტელეფონის ნომერი | 599 23 88 22<br>8 341 22 10 00 |
| ელექტრონული მისამართი | arckmsheni2010@yahoo.com |
| მომსახურე ბანკი | ს.ს „ლიბერთი ბანკი" (ქვემო ქართლის რეგიონალური) ფილიალი 21ს/ც-413 |
| ბანკის კოდი | LBRTGE22 |
| ანგარიშის ნომერი | GE82LBO113156510557000 |

შპს „არქმშენის" დირექტორი: თარაშ დაუშვილი

# საკონკუსო წინადადება

## განმარტებითი ბარათი
## განვითარების მიზნები და სტრატეგია

ქ.რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი მოიცავს ვრცელ ტერიტორიას XV და XVII მიკრო რაიონებს შორის. ტერიტორია გამწვანებულია სხვადასხვა ინტენსივობით მრავალწლიანი წიწვოვანი ხემცენარეებით.

საპროექტო ობიექტს (საკონკუსო დავალების შესაბამისად) წარმოადგენს სკვერის სიმეტრიის ღერძებზე არსებული ცენტრალური საფეხმავლო ბილიკები და მათ გადაკვეთაზე არსებული მცირე ზომის მოედანი.

ტერიტორიის განვითარების ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს მისი პირვანდელი ფუნქციის აღდგენა-გაძლიერება. სკვერი უნდა განვითარდეს როგორც რეკრეაციულ-სპორტული ზონა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაღალი ინტენსივობის მოსახლეობის, როგორც პასიური,ასევე აქტიური დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისათვის.

წარმოდგენილ ესკიზში გათვალისწინებული და შეჯერებულია აქტიური და პასიური დასვენების მსურველი და სხვადასხვა თაობის ადამიანთა ინტერესები. სარეაბილიტაციო საფეხმავლო ბილიკებს გასდევს სავლოსიპედო ბილიკები, ისინი ერთმანეთისაგან ფერით განირჩევიან, რაც ამცირებს მათით მოსარგებლე ადამიანების მოძრაობის ტრაექტორიების გადაკვეთის ალბათობას. ამავე მოსაზრებით სანათები, სკამები და ნაგვის ურნები მოეწყობა ბილიკების კონტურის გარეთ.

სკვერის ცენტრალურ ნაწილში,მცირე ზომის მოედანზე დამონტაჟდება სიმბოლური მეტალის "ნატვრის ხე" რომელიც განათდება ცვალებადი ფერის სანათებით.

## ტექნიკური აღწერა

მოცემულ საკონკურსო ნამუშევარში გათვალისწინებულია საფეხმავლო ბილიკების სრული რეაბილიტაცია. არსებული ფილაქნის დემონტაჟი და ახალი ფილაქნის მონტაჟი (სავლოსიპედო ბილიკი გამოიყოფა მკვეთრი ფერის ფილაქნით). არსებლი ბორდიურის ნაცვლად ახალი ბორდიურის მოწყობა.ასევე სკვერის განათების ახალი ბოძების,სკამებისა,სანაგვე ურნების და სასმელი წყლის შადრევნების განთავსება. სკვერის ცენტრში არსებულ მცირე მოედანზე მოეწყოს წრის ფორმის გაზონი და მის შუაგულში დამონტაჟდეს მეტალის სიმბოლური "ნატვრის ხე".

შ.პ.ს. „არქმშენი"
თოდრიას 5ა
რუსთავი, საქართველო
ტელ: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

L.L.C "Archmsheni"
Str. Todria 5a
Rustavi, Georgia
Tel: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

მიღება ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღეში.

შპს „არქმშენის" დირექტორი: თარაშ დაუშვილი

შ.პ.ს. „არქმშენი“
თოდრიას 5ა
რუსთავი, საქართველო
ტელ: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

L.L.C “Archmsheni”
Str. Todria 5a
Rustavi, Georgia
Tel: 0 (341) 22 10 00
Arckmsheni2010@yahoo.com

ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს დასაწყისი | სამუშაოს დასასრული |
|---|---|---|---|
| 1 | ქალაქ რუსთავში ლეონიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერში ცენტრალური ბილიკების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. | ხელშეკრულების გაფორმებიდან | ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღე |

"შპს „არქმშენის“ დირექტორი: თარაშ დაუშვილი



ARCHMSHENI LTD



ARCKMSHENI • LTD







ლეონიძის ქუჩა
R=18მ
ურნა
სკამი
განათების
ბოძი
15,000
ARCKMSHENI LTD

სქემატური გეგმა



